მხარეებს უფლება აქვთ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ დროს საქმე დაამთავრონ მორიგებით.

კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

## დავის გადაწყვეტა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში

დავის გადაწყვეტის განსხვავებული წესი მოქმედებს ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში. ადმინისტრაციული საჩივრით ზემდგომი ადმინისტაციული ორგანოსთვის მიმართვა წარმოადგენს ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტის არასასამართლო გზას. მოქმედი კანონმდებლობით, სასამართლოსათვის მიმართვამდე, სავალდებულოა ადმინისტრაციული საჩივრის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ერთჯერადად წარდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ.

ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ერთი თვის ვადაში. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას სახელმწიფო ბაჟი ან რაიმე სხვა სახის გადასახადი არ გადაიხდება.



**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**

www.hcoj.gov.ge

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ)

Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

GTZ-Office Tbilisi 41,Shartava Str.
0146, Tbilisi Georgia

Herausgeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (**GTZ**) ფინანსური მხარდაჭერით

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
E-mail: council@hcoj.gov.ge
www.hcoj.gov.ge

2008©

# დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები

მორიგება (არბიტრირება) უკეთესია თუ სასამართლოსათვის მიმართვა (უფლების სასამართლო წესით დაცვა)



## მორიგება

კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში მხარეებს შორის შესაძლებელია წარმოიშვას დავა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. დავის მოგვარება მხარეებს შეუძლიათ მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება მხარეთა მორიგებაა, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც სასამართლო განხილვამდე, ასევე სასამართლოში საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

## მხარეთა მორიგება

სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებისას მოსამართლე არკვევს, ხომ არ სურთ მხარეებს საქმის მორიგებით დამთავრება. სასამართლო ვალდებულია ყოველნაირად შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს. მოსამართლეს ასევე შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები.

მორიგებისას  სადავო საკითხის გადაწყვეტა ხდება გაცილებით უფრო სწრაფად და მარტივად, ვიდრე სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტის შემთხვევაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სასამართლო განხილვა გაცილებით მეტ პროცედურებსა და დროს მოითხოვს. მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისთვის კანონით გათვალისწინებულია 2 თვე, რთული კატეგორიის საქმეებზე კი – 5 თვე. თუ გავითვალისწინებთ, რომ მხარეებმა შესაძლოა ისარგებლონ სამივე ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების უფლებით, დავა შეიძლება გაგრძელდეს საკმაოდ დიდხანს.

აღნიშნული პროცედურებისაგან განსხვავებით, მორიგებისას საჭიროა მხოლოდ მხარეთა დიალოგის გზით სადაო საკითხებზე შეთანხმება. მხარეთა მორიგება ფორმდება მორიგების აქტით, რომლის დაცვის გარანტი ხდება სასამართლო.

მორიგების შემდეგი უპირატესი თვისება დაკავშირებულია ხარჯებთან. გარდა სახელმწიფო ბაჟისა, რომლის ოდენობამ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში 100 ლარიდან 5000 ლარამდე შეიძლება შეადგინოს, მხარეს ასევე დაეკისრება პროცესის სხვა ხარჯების გადახდა, რაც მოიცავს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ, ადვოკატის მომსახურების, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ, მოწმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ, ექსპერტიზის და სხვა ხარჯებს. ამ ყველაფრის შემდგომ კი არ არსებობს იმის გარანტია, რომ სასამართლოს მიერ მიღებულ იქნება თქვენთვის სასურველი გადაწყვეტილება.

დავის მორიგებით გადაწყვეტა გაცილებით ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ეტაპზე მორიგდებიან მხარეები. თუ მორიგება მოხდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მაშინ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება, ხოლო თუ მორიგება მოხდება მთავარ სხდომამდე, მხარე მთლიანად თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

მორიგების მნიშვნელოვანი უპირატესობა არის ის, რომ მორიგების შემთხვევაში მხარეები დავის ძირითად პრობლემატურ საკითხებზე შეთანხმებით ჯერდებიან იმ პოზიციებზე, რომელიც ორივე მხარისათვის მაქსიმალურად მისაღებია, მაშინ როდესაც, სასამართლო გადაწყვეტილებით შესაძლოა არც ერთი მოდავე მხარე არ დარჩეს კმაყოფილი.

## კერძო არბიტრაჟი

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზაა კერძო არბიტრაჟი. ეს არის ორგანო, რომლის შემადგენლობისა და საარბიტრაჟო განხილვის წესის განსაზღვრა შეუძლიათ მხარეებს.  კერძო არბიტრაჟი იხილავს მხოლოდ სამოქალაქო დავებს იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხზე იქნება წერილობითი შეთანხმება მხარეებს შორის.

კერძო არბიტრაჟი შეიძლება იყოს მუდმივმოქმედი ორგანო ან დროებით შეიქმნას კონკრეტული დავის გადასაწყვეტად. მხარეებს თავად შეუძლიათ დანიშნონ არბიტრაჟის წევრები.

კერძო არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვა ხასიათდება სისწრაფით. კერძოდ, საარბიტრაჟო განხილვა იწყება საარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენიდან 10 დღის ვადაში. არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ვადა დგინდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას გადაწყვეტილება მიიღება საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კერძო არბიტრაჟის მიერ დავის გადაწყვეტა მიმდინარეობს სასამართლო საქმის განხილვის მსგავსი  პროცედურებით და მის გადაწყვეტილებას იგივე ძალა აქვს, რაც სასამართლო გადაწყვეტილებას. მისი ნებაყოფლობითი შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი აღსრულდება იძულებით.